



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაკიძე ომარ შალვას ძე

ვაშაკიძე ომარ შალვას ძე (27. IV. 1933, სოფ. დიდი ჳიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, - 27. VII. 2007, თბილისი), აგრარეკოს-ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1995). 1955 დაამთავრა საქართვე. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი. 1959-64 მუშაობდა საქართვე. სოფ. მეურნეობის ეკონ. და ორგანიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1964-2006 - საქართვე. სახელმწ. საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახ. მეურნეობის ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სოფ. მეურნეობის განყ-ბის გამგედ. 1959-იდან ლექციებს კითხულობდა საქართვე. აგრარულ უნ-ტსა და თბილ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1992-98 იყო სახელმწ. მრჩეველი საქართვე. სახელმწ. მეთაურის (1995-იდან - საქართველოს პრეზიდენტის) აპარატში. მონაწილეობდა ქვეყნის აგრ.-სამრენვ. კომპლექსის ეკონ. და მართვის საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში. ვ-ის სამეცნ. შრომები ეძღვნება აგროსამრენველო კომპლექსის ეკონომიკის, სოფ. მეურნეობის ორგანიზაციის, მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის პრობლემურ საკითხებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).
